



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 01

2020 წელი 31 იანვარი

ქ. ბაღდათი

10.00 საათი

2020 წლის 31 იანვარს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, მურადი ბურჯანაძე, მამუკა გორგოძე, გრიგოლ ტაბეშაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თემურ მინაძე, კობა მშვილდაძე, შალვა დათუაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, ზაზა ზივზივაძე, გაბრიელ ღებრაძე, თეონა ფახურიძე, გურამი ჩხეიძე, ვლადიმერ წიქორიძე, რუსუდან გეწაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 21 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: გიორგი რობაქიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, ალექსი ლომინაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 21 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნოდარ ებანოიძე-საკრებულოს აპარატის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

6. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილების თაობაზე საკრებულოს მოახსენა ნოდარ ებანოიძემ, საკრებულოს აპარატის უფროსმა, (გ. გრძელიძე ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა სხდომას) რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ, საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილების რამდენიმე მუხლზე დადგენილი იქნა ხარვეზი, რის გამოც სათანადო ცვლილება შევიდა აღნიშნულ დადგენილებაში.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 1 31.01.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)
მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 23-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა ქეთევან კარკაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა.

აზრი გამოთქვას:

ვლადიმერ წიქორიძემ-საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მან დააყენა საკითხი “K” კოეფიციენტის დაწვევის თაობაზე, რაც არ იქნა გაზიარებული სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრების მიერ.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 2 31.01.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 2; (ვ. წიქორიძე, მ. მესხი)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 21-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა-ქეთევან კარკაძემ დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ,

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 1 31.01.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა-ქეთევან კარკაძემ დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 2 31.01.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 19-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა-ქეთევან კარკაძემ დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ,

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 3 31.01.2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 19-მა წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6 . „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი წარმოადგინა კახა მსხვილიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 3 31.01.2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 20-მა წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე